№ 252
კვირა, 18 ნოემბერი, 1901 წ.

1877–1901

ივერია

№ 252
კვირა, 18 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, ტფილისი.
ГАЗЕТИСЪ ДЛЯ ОБЪЯВЛЕНІЙ
ТИФЛИСЪ

შეგვიძლიან. ერთი სიტყვით, ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც დღეს ქართულს აკადემიურს სამეცნიერო ხასიათს ატარებს.

სამწუხაროდ, ასეთი დაწესებულება დღემდის მხოლოდ იშვიათ მეისტორიესა და არხეოლოგოსის ყურადღებას იპყრობდა ხოლმე და მარტოდ ესენი სარგებლობდნენ იმ ძვირფასის მასალით, რომელიც აქ არის შემოკრებილი. დანარჩენნი დარგნი-კი ცოდნისა, როგორც, მაგალითად, ფილოსოფია, მკურნალობა, სასჯელო მეცნიერება, ხეროთმოძღვრება და მხატვრობა, ღვთის მეტყველება და საბუნების მეტყველო საგნები, მთლად მივიწყებულნი არიან, არავის ამ ძვირფასის წყაროებით არ უსარგებლნია, საზოგადოების მახლობელს წევრებს არასოდეს არ უზრუნიათ სამერმისოდ, ენისა და ცოდნის განსავითარებლადა და გასამდიდრებლად, ამ ძვირფას წყაროებიდგან საჭირო და აუცილებელი მასალა გამოეკრიბათ, შეემუშავებინათ, რიგზედ დაეწყოთ და გამოექვეყნებინათ. საჭიროება და მოთხოვნილება-კი ასეთის მასალებისა, მეტადრე ამ ბოლო დროს, დღითი-დღე მეტად და მეტად ჰღაღადებს.

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში დროგამოშვებით რამდენჯერმე უკვე აღძრულა ლაპარაკი, მაგალითად, რომ სამეცნიერო სპეციალური ტერმინები შემუშავდეს, სამეცნიერო ნათარგმნი ბიბლიოთეკა გავუჩინოთ ქართველს მკითხველსა და თავისს სამშობლო ენაზედ შევაძლებინოთ განვითარება. ყოველივე ეს ამ ჟამად აუცილებელია, მაგრამ მოვახსენებთ ჩვენს მეცნიერს პიონერებს, რომ ვიდრე ეს ჩვენის საზოგადოების უქმი სალიტერატურო მასალა არ იქმნება გადასინჯული და აქედგან, რაც საჭიროა, არ გამოიკრიბება, იმ დრომდის საქმე წინ ვერ წაიწევს, ზეპირად ტერმინოლოგიის შედგენა და ენის გამდიდრება შეუძლებელია.

ამისათვის, ჩვენის აზრით, დროა, ვგონებთ, იკისროს გაახლებულმა გამგეობამ საზოგადოებისამ მოთავეობა ამ საქმისა, მოიწვიოს ვინცკი აღნიშნულის შრომისათვის მომზადებულია და მოილაპარაკონ, როგორ და რა ნაირად შეიძლება ამ უკვდავი საქმის შესრულება.

მოსამზადებელს მუშაობას: მცოდნე კაცების ყველა მხრიდგან მოწვევასა, ტფილისში მაინც თუ სხვაგნიდგან არა, მასალების გადასინჯვასა, განაწილებასა და ამოკრებას ჯერ ცალკე და შემდეგ შეერთებულს სარედაქციო კომისიაში უთუოდ წესი და რიგი უნდა და აი, გამგეობის მოვალეობაა ყოველივე ეს მოიფიქროს, ადრე და მალე როგორ მოაწყოს.

იმედია, ღაღადისს მწერლობის ზოგიერთ წარმომადგენლებისას საზოგადოების გამგეობა ახლა მაინც ყურადღებას მიაქცევს და გარეგან განახლებასთან ერთად შინაგანს შინაარსსაც აღიმაღლებს, განისპეტაკებს, რასაც ჩვენი ქართველი საზოგადოება უთუოდ თანაგრძნობით შეეგებება.

ინ-ანი.

ახალი ამბავი

*** დღეს, 18 ნოემბერს, ქართულს თეატრში იაფ-ფასიანი წარმოდგენაა დანიშნული. წარმოადგენენ ლაზარიშვილის 5 მოქმედებიან დრამას „მტარვალს“ და ვოდევილს „ქარიშხალს.“ ფასები შესამჩნევადაა დაკლებული. პარტერში ადგილები 50 და 75 კაპ. და 1 მანეთადა ღირს. მეორე იარუსში ლოჟების ნაცვლად ცალკე ადგილებია დანიშნული, თითო ადგილი თითო მანეთად. მოსწავლეთათვის ლოჟებში ადგილები უფრო იაფადაა. გალერეიაზედაც დაკლებულია ფასები. ამ წარმოდგენაში მთელი დასი იღებს მონაწილეობას.

*** 1898 წლის 14 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მომხმარებელთა საზოგადოებას ნება დაერთო გაჰგზავნოს ხოლმე თავისი საქონელი (ვერსზედ ფუთი 1/100 კაპეიკად) მხოლოდ იმ სადგურებში, სადაც ამ საზოგადოებას განყოფილებანი აქვს, სახელდობრ— სამტრედიასა, ხაშურსა და განჯაში. ეხლა, საზოგადოებისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის შუამდგომლობათა თანახმად, მთავარმა გამგეობამ ნება დართო საზოგადოებას ზემოხსენებულ ფასით ჰგზავნოს საქონელი ამიერ-კავკასიის რკინის გზების ყველა სადგურებში.

*** კავკასიის საიმპერატორო საოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს 16 ნოემბრის სხდომაზედ განსახილველად წარედგინა პროექტი ხელ-შეკრულებისა, რომლის ძალითაც უნდა შეგროვდეს 30,000 მანეთზედ არა ნაკლები მომავალ წელს კავკასიის გამოფენის განსაგრძობად. ამ ხელ-შეკრულებით თვითოეულმა წევრმა უნდა წარადგინოს არა ნაკლებ ხუთის თუმნისა, რომლის გასასტუმრებლადაც გადადებული იქნება გამოფენის გახსნისათანავე შემოსავლის ერთი ნაწილი. გამოფენის დახურვის შემდეგ წმინდა მოგების ერთს ნახევარს წაიღებენ კონტრაგენტები და მეორე ნახევარს სამეურნეო საზოგადოება. გამოფენა ამ პროექტით უნდა გაიმართოს მაისიდგან და გაგრძელდეს ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ აღნიშნული პროექტი პრინციპიალურად მოიწონა და დაადგინა, თუ შესდგეს საჭირო თანხა გამოფენის გასამართავად, წარუდგინოს მოხსენება სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებას და აგრეთვე სთხოვოს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს, რომელიც იქნება რწმუნებული სამეურნეო საზოგადოებისა, მოელაპარაკოს კერძო პირთ.

*** კვირას, 18 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომაა დანიშნული იმ კომისიისა, რომელსაც გამოფენაზედ ბეჭდვითი საქმის განყოფილების მოწყობა ჰქონდა მინდობილი. კომისიამ უნდა განიხილოს ორი საქმე: 1, გამოფენის დახურვისა და 2, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა კრების გამართვის შესახებ.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს კრებაზე ხვალ, 19 ნოემბერს, განსახილველად დანიშნულია სულ 18 საქმე.

*** პარასკევს, 16 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის ლომბარდის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მცირეოდენის შეცვლით დაამტკიცა კიდეც. ლომბარდს 1902 წელს შემოუვა სულ 37,650 მან., ხოლო ხარჯი ექნება 27,877 მან. 62 კაპ. ასე რომ წმინდა მოგება დარჩება 9,779 მანეთამდე.

*** ამავე სხდომაზედ ქალაქის გამგეობამ წმ. ნინოს სასწავლებელში ნ. ი. აბესალომოვის სახელობის სტიპენდია დაუნიშნა მოსამზადებელ კლასის მოსწავლე ქალს თამარა მთვარელიძეს.

*** „მთავრ. კანონდ. და განკარ. კრებულში“ გამოქვეყნებულია ბრძანება კავკავში კადეტთა კორპუსის დაარსებისა და შავის ზღვის პირის მეღვინეთა და მევენახეთა ამხანაგობის დამტკიცების შესახებ.

*** ქალაქ ტფილისსა და ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოებასთან დადებულ პირობის თანახმად, მომავალ წლიდგან საზოგადოებამ უნდა აძლიოს ქალაქს ყოველ წელს 30,000 მ. შემოსავლიდგან.

*** კავკასიაში კარგის ჯიშის თამბაქოს გასავრცელებლად, მიწადმოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია მომავალ წლიდგან ოზურგეთის თამბაქოს პლანტაციაში საცდელად დასთესოს ოსმალური თამბაქო.

*** ამას წინად ტფილისში „შრომის“ ბიუროს დამაარსებელმა ბ-ნმა თამამშევმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ ბიურო ქალაქმა თავის სახელზედ გადაიტანოს და თვისის ხარჯით აწარმოოს. გამგეობამ ეს მოხსენება განიხილა 16 ნოემბრის სხდომაზედ და გარდასწყვიტა შეეკითხოს ბ-ნ თამამშევს რაში გამოიხატა ბიუროს მოქმედება— დაარსებიდგან აქამომდე. რომ გამგეობამ შეიტყოს, რამდენად სასარგებლოა ბიუროს ქალაქის ხარჯით შენახვა.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა 17 ნოემბერს განიხილა საქმე თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწის ფურცელაძისა, რომელსაც სამსახურის დროს დაუდევრობის ჩადენა ჰბრალდებოდა. ფურცელაძის დაუდევრობა იმით გამოიხატა, რომ გლეხის ზაქაშვილის გარდაცვალებისა და მარიამ ურუტაევის მოკვლის შესახებ ცნობები მოუთხოვნიათ ფურცელაძისთვის, როცა იგი ბოქაულად ყოფილა დუშეთის მაზრის ქვიშეთის ნაწილში 1898 წლის 2 ივნისს და 24 მაისს, ხოლო მას ეს ცნობები წარუდგენია 1899 წლის 31 დეკემბერს ⁄ 26 ივლისს. პალატამ დამნაშავედ იცნო ფურცელაძე და გარდასწყვიტა, სამსახურის სიაში შეუტანლად საყვედური გამოეცხადოს.

*** გუშინა ვწერდით, რომ პ. კ. ზუბალოვს განცხადება შეუტანია გამგეობაში, რომელშიაც სურვილს აცხადებს ქალაქის ხმოსნობაზედ კენჭის ყრისაო როგორც „კავკაზი“ სწერს, ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია.

დამაკვირდი

გული ჩირქ მოუცხებელი თვითონ თავის-თავად ჰსიამოვნებს.

გეტე.

***

სახე მისი ბრწყინავს, ვისაც გული აქვს წმინდა.

კელტიში.

***

არავითარი სამშობლო ქვეყანა ისე პატარა არ იქმნება, რომ თვით უდიდესი სიყვარული არ დაიტიოს. რაც უფრო ვიწროდ გარს შემოგრტყმია, მით უფრო ახლოა იგი შენს გულთანა.

ბულლერ.

ღვთის მადლით, ეს ამბავი ჯერ არავის დავიწყებია. ყველას კარგად ახსოვს, რომ „Новое Обозрѣніе“-ს რედაქტორი თავდაპირველად ქართველი პატრიოტი და ლიტერატორი იყო, დიდის თავგამოდებით იღვწოდა ჩვენის მწერლობისათვის, ორი „ალმანახიც“ კი დაბეჭდა ჩვენს ენაზედ და სხვა-და-სხვა „ახალი“ აზრი და მოძღვრება განუზიარა ქართველ საზოგადოებას... დრონი იცვალნენ და, რასაკვირველია, იმანაც ფერი იცვალა. ქართული მამულიშვილობა აბა რა სახეირო და სასარგებლო იქმნებოდა და იმანაც ზურგი მალე შეაქცია ქართველობას და სხვა „ეტაპს“ დაადგა: ქართული პატრიოტობა „ვიწრო დოგმატიზმს“ შეადგენს, საჭიროა ვრცელი და ფართო თანამედროვე მოძღვრებაო. აიღო და მორთო საკაცობრიო და საქვეყნო ლიბერალობა „Вѣстникъ Европы“-ს ფურცლებზედ. მაგრამ მალე ესეც უარ-ჰყო. რუსულ ჟურნალის აკადემიური ლიბერალობა „შაბლონური“ სწავლაა, მკვდარი და უსისოცხლო ქადაგებაა და ცოცხალი თანამედროება—„живая современность“—უფრო ხელსაყრელი და სასახელო იქმნებაო. ასეთ „ცოცხალ თანამედროებას“ მაშინ „ძმათა სასუნელთა“ საქმე შეადგენდა. ეს რედაქტორიც ახტა და მესამე „ეტაპზედ“ შეხტა, იმ ეტაპზედ, რომელსაც, ეჩმიაძინის გზით, მლოცავი სასუნში მიჰყავს. რასაკვირველია, გზა-და-გზა ვიწრო ნაციონალურს სიმღერას მოჰყვა და გარეშე „სასუნისა“ და საზოგადოდ „ჰაისტანისა“ ყოველივე დაივიწყა...

მაგრამ ამ ჩვენს „კლასთა და დასთა“ ბრძოლის დროს ცალიერ მამულიშვილობით ფონს ვერვინ გავა და დიდს მანძილს ვერვინ გაივლის და ამიტომ საჭიროა, რომელსამე დასს მივემხროო. რედაქტორმაც ისკუპა და ეს ოდესმე ყოფილი „დემოკრატი“ და „ნაროდნიკი“ ბურჟუაზულ „ეტაპის“ პლატფორმაზედ დასკუპდა. ხოლო ვინ არ იცის, რომ წვრილი ბურჟუაზია მაგრე რიგად სათლელად და საწველად არაფერია. ამიტომ დიდი ხანი არ გასულა და რედაქტორმაც მსხვილ კაპიტალისტების სტანციაზედ ამოჰყო თავი, იმათ სადგურში დირექტორად გამოიჭიმა და ახლა ამ მამონის ტაძრიდგან ეს ლიტერატურული ქამელეონი გულუბრიყვილო ახალგაზდობას სინიდისისა და აზრის სიმტკიცეს უქადაგებს, ქართველ მოღვაწეებზედ გულს უცრუებს და უკიჟინებს—აი თქვენი მეთაურნი რა მარტის ტაროსისავით იცვლიან შეხედულებას და მიმართულებასაო. თუ გნებავთ, აი სწორედ „ცოცხალი თანამედროებაც“ ეს გახლავთ!..

ბატონო, „ევერია“ რა თქვენი ხელ-წამოსაკრავია, როცა „Новое Обозрѣніе“ მანდ გაქვთ და საკუთარი რედაქტორი გყავთ. საქმე ის ხომ არ არის, სხვის წარსულს ასეთის სითამამით და კადნიერებით ეპოტინებით. აბა ახლა სხვა წაეტანოს თქვენს ზნეობრივს და ლიტერატურულ ვინაობას!..

— ნაპოლეონ მესამე კარლო დ დის ისტორიას სწერსო, გამოაცხადეს ერთხელ ფრანგულ გაზეთებში.

— ნეტავი იმ დროს მომასწრო, რომ კარლო დიდს ნაპოლეონ მესამის ისტორია დაეწერაოსო, იოხუნჯა როშფორმა.

ოხ, ნეტავი მეც იმ დღეს მომასწრო, რომ „ევერიის“ რედაქტორს Новое Обозрѣніе“-ს რედაქტორის ისტორია დაეწეროს! ერთხელკი დასწერა, თუმცა ის „სხარტულა“ იყო და არა ისტორია. მაგრამ მაინც სხარტულა ისე მაგრად მოედო, რომ იმ დროიდგან აქამომდე «Новое Обозрѣніе»-ს რედაქტორი თითქო გონზედ ვერ მოსულა და ასე აბდა-უბდად ლაპარაკობს „ევერია“-ზედ.

წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზედ ძველი და ახალი თაობა ებძოლა ერთმანეთსაო... ამას ქართულ ცხოვრების უვიცი თუ იტყვის. ბრძოლას საგნად გამგეობის განახლება ჰქონდა და, ვინ არ იცის, რომ გამგეობაში მარტო „ძველ თაობის“ წარმომადგენელნი არ იყვნენ. იქ მოიპოვებოდნენ, მაგალითებრ, ასეთნი ახალგაზდა მოღვაწენიც, როგორიც ბ-ნი ზურაბიშვილი, კიტა აბაშიძე და ვ. ლორთქიფანიძეა. მეორედ კიდევ, ჩვენში „ძველი თაობა“ ძველ მოძღვრების და ძველ „იდეის“ წარმომადგენელს როდი ნიშნავს. ჩვენში შეიძლება სხვა-და-სხვა აზრთა მიმდინარეობა საკუთარ გზით ვიდოდეს, ასეთი თუ ისეთი მოძღვრება სუფევდეს, მაგრამ აქედგან ის დასკვნა არ გამოდის,—ვითომ მოხუცი და ჭაღარა შერთული უეჭველად კონსერვატორი და რეტროგრადია, ხოლო ჭაბუკი და ახლად ბუსუსით შემოსილი მიუცილებლად ლიბერალი და პროგრესისტია. ვინ იცის, იქმნება თვით „Новое Обозрѣніе“-ს მექრონიკეც თოვლისავით თეთრად განსპეტაკებულია, მაგრამ განა ამიტომ „პროგრესისტი“ არ არის? ვითომ პროგრესისტობასა და ლიბერალობაში რა უშლის, რომ წლოვანებით ძველ თაობისაა?!..

ძველი თაობა აზრით, იდეით (въ идейномъ смыслѣ) გარკვეულს არაფერს წარმოადგენსო... ამასაც უმეცრება და უვიცობა თუ ათქმევინებს მწერალს, თორემ სხვა არაფერი. ყველა შეგნებულ ქართველს ცხადზედ ცხადად წარმოდ-

სახელდახელო

—

წამწყმიდა წახედულობამაო, ნათქვამია.

ყველა, ვისაც არავითარი ნიჭი არ მოეპოვება, ვინც ზეგარდმო მიდლს ზენასაგან მოკლებულია, ნიჭიერსავით თავის ჩენის სურვილით არის განმსჭვალული და სხვათა წაბაძვით სანიჭო მასალას ეძრჩის და ეპოტინება.

ასეა ყოველ გვარს ხელოვნებაში, ასეა ლიტერატურაშიაც.

ჰბაძავენ სხვას, მხოლოდ ავიწყდებათ, რომ წამბაძავსაც ნიჭი უნდა ქონდეს, თორემ როდესაც უნიჭო ნიჭიერსა ჰბაძავს, იგი სწორედ ფერ-უმარილით წათხუპნულს გონჯს ქალსა ჰგავს.

ფერ-უმარილი - კი, წარმოიდგინეთ, ლამაზს უფრო უხდება, გონჯი ფერ-უმარილით უფრო უგემურდება და უხამსდება.

არ ვურჩევთ გონჯებს, ლამაზთა წაბაძვით, ფერ-უმარილის ხმარებას; თუ ბუნებრივი მარილიანობა აკლიათ, ხელოვნებით ამ ნაკლს იმდენად ვერ შეივსებენ, რომ სატრფიალოს გული მოინადირონ.

არ ვურჩევთ ბ-ნს კახ-იმერს ჩვენთა პოეტთა მიბაძვას, რადგან მიმბაძველობასაც, როგორც ვთქვით, ნიჭი უნდა და არარაისგან-კი, მოგეხსენებათ, არარაი იქმნების.

გაიხსენეთ შესანიშნავი ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, აწ უკვე თითქმის ხალხურად გარდაქცეული, ერის მეხსიერების სისხლ-ძვალში გამჯდარი: „გაზაფხული“.

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც სჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

—

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აჰყვავდები?..

ჰკითხავდა თავისს სამშობლოს
მისის სიყვარულით დაკაშნებული
და ბუნების გამოღვიძების სურათით
ღტაცებული პოეტი 1861 წელს.

ბ-ნს ზ. კახ-იმერს ამ ლექსს მიბაძვის წყურვილი მოსვლია სწორედ ორმოცის წლის შემდეგ და აი რა ლექსი გამოუცხვია:

შემოდგომა.

ტყესა სცვივა ფოთოლი,
აღარც მერცხალი ჭყივის!...
ბაღში ვაზი ობოლი
მწუხარებითა სტირის.

—

გაშავებულა მდელო,
გაშავებულა მთები. .
მამულო საყვარელო,
შენ მაინც ნუ ჰშავდები!..

ეს ლექსი წარმოუგზავნა ბ-ნმა კახ-იმერმა „ივერიის“ რედაქციას თავისის „შრომის“ დასაბეჭდად.

მართალია, „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია“, მაგრამ მაინც საქართველო სრულიად არას დაჰკარგავდა, ბ-ნს ზ. კახ-იმერს რომ თავისი „შემოდგომა“ არ შეექმნა.

ამას იმიტომ ვწერ, რომ ვშიშობ, ვაი თუ მისის „შემოდგომის“ ჩემს „სახელდახელო“-ში დაბეჭდვით ბ-ნი ზ. კახ-იმერი წახალისდეს და კიდევ დასწეროს ვისიმე მისაბაძავი ლექსი.

ან ამაზედ ადვილი რა არის, წააწერს იმავე თავ. ილია ჭავჭავაძის „გაზაფხულს“ სათაურად „ზამთარი“-ო და დაიწყებს:

ტყესა სცვივა ფოთოლი,
მერცხალი არღა სჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მწუხარებითა სტირის

—

გათეთრებულა მდელო,
გათეთრებულა მთები...
მამულო საყვარელო,
შენ როსღა გასთეთრდები?!.

მოაწერს გვარსა და გაუგზავნის რომელსამე რედაქციას, ლექსია და ლექსი, რა უჭირს.

თუ მოსწონს ჩემი „ზამთარი“ ბ-ნს ზ. კახ-იმერს, მისთვის მიფეშქაშებია, შეუძლიან თავისს „შემოდგომა“-სთან შეინახოს შვილიშვილთა მიერ პოეტ-ნამის სამახსოვროდ.

თუ ინებებს, ამ გვარად „ზაფხულსაც“ ადვილად გამოვუცხობ. ან რა ჩემი გამოცხობა უნდა, თითონაც მოახერხებს, მხოლოდ ფერი უცვალოს მდელოსა და მთებს.

დასასრულ იმის საბუთად, რომ მიბაძვის დროსაც-კი ნიჭიერება თავისს მადლს იჩენს ხოლმე, გვახსენდება აკაკის ირონიულის კილოთი დაწერილი ლექსი იმავე „გაზაფხულის“ მისაბაძად.

ზამთარი რო წავიდა,
მოვიდა გ ზაფხული,
სახლში ჭყივის მერცხალი,
ბაღში კივის ბულბული.

—

აყვავებულა ვარდი,
ნესვიც დამწიფებულა,
ღობეში-კი მსუნაგი
ღორი გაკვეხებულა!

—

მებაღე დიდის ჯოხით
ღორზე ამხედრებულა...
გაუმარჯოს სამშობლოს,
მტერიც დამარცხებულა!...

ეს ლექსი ამ ექვსის წლის წინად დაიბეჭდა გაზ. „კავალში“, წაიკითხოს ბ-ნმა ზ. კახ-იმერმა და იქნება მიხვდეს ამ ორის მიბაძვის განსხვავებას.

ჩიორა

სასოფლო მეურნეობა.

თაფლი და მისი სამკურნალო თვისება.

—

თაფლი ყოველთვის უყვარდა და ახლაც დიდათ ეტანება მას ჩვენი ხალხი, უმეტესად სოფლად. რასაკვირველია, ეტანებიან თაფლს მარტო იმიტომ კი არა, რომ ტკბილი საჭმელია, არამედ როგორც მარგებელს, სისხლის შემმატებელს, სამკურნალო წამალს.

მარტო ჩვენში არ ყოფილა ხალხი ესრეთი აზრისა თაფლზე. ბერძნებს თურმე თაფლი მიაჩნდათ ნოყიერ და სამკურნალო საჭმელად და ამასთანავე დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ იგი სიცოცხლეს ჰმატებს კაცს. გამოჩენილი მათემატიკოსი პითაგორი ამბობს, რომ თუ მე ღრმა სიბერემდე მივაღწიე, ეს თაფლის წყალობაა, თორემ ორმოცდა-ათის წლისა მოვკვდებოდი, როცა სნეულებამ შემიპყრო. ფილოსოფოსმა დემოკრიტმა როცა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, გაახსენდა, რომ მისს ქალიშვილებს ცერერის დღესასწაულობაზე სურდათ დასწრება და ეს სურვილი აუსრულებელი უნდა დარჩენოდათ, რადგანაც მგლოვიარენი, ადათისამებრ, სახალხო დღესასწაულებს ვერ დაესწრებოდნენ. ქალიშვილების სიყვარულისათვის უფრო, ვიდრე თავისთავისა, დემოკრიტმა გაიხანგრძლივა სიცოცხლე მითი, რომ თაფლის ჭამას შეუდგა და ჰყნოსავდა მას, როგორც სურნელოვანს რასმეს. უშესანიშნავესი ფილოსოფოსი არისტოტელი თავის თხზულებებში საპატიო ადგილს უთმობს ფუტკარს, მისს ცხოვრებასა და მოშენებას. ისიც იმ აზრისა არის, რომ თაფლი კაცს სიცოცხლეს ჰმატებსო. ასეთივე აზრისანი იყვნენ თაფლზე ევროპაში საშუალო საუკუნოებშიაც.

უწინ ყოველგან და ზოგგან ახლაც, მაგ. ჩვენში თაფლს ხმარობდნენ და ხმარობენ შაქრის მაგიერ.

თაფლი, როგორც საჭმელი და აგრეთვე როგორც წამალი, რომ ბევრად სჯობს შაქარს, ეს უეჭველია. თაფლი ქორფა მცენარეულის წვნის ნაწარმოებია. იგი შეიცავს ყველა იმ შემადგენელ ნაწილებს, რაიცა არსებითად საჭიროა ჩვენის აგებულებისათვის. თაფლს შეადგენს ყურძნის, ლერწმის და ბოსტნეულობის შაქარი, ცოტა ურევია ცილა, რკინეული ნაწილები, ეთერის ზეთი და ჭიანჭვლის სიმჟავე; ამათ თვითონ ფუტკარი ურევს თაფლს სიმკვრივისათვის. შაქარს კი მარტო ლერწმის შაქრისაგან ამზადებ.

თაფლი მეტის-მეტად ნოყიერი და ადვილი მოსანელებელია, რადგანაც იმას მთლად ითვისებს ჩვენი აგებულება. თაფლი როგორც საჭმელი, შესამჩნევად აცხოველებს ჩვენს აგებულებას, იმიტომ რომ მას ისე სავსებით ნთქავს ჩვენი სისხლის გორგოლები (шарики), რომ არავითარი ძნელად მოსანელებელი ნაშთი აღარ რჩება სისხლში. ამითი სისხლს ენერგია ემატება და ეს ენერგია მთელს ჩვენს აგებულებას აძლევს მუსკულების სიმაგრეს, ტანის სიმჩატესა და მოქნილობას, აცხოველებს ნერვებს, აფრთოვანებს სულს, აფართოვებს აზრთა ჰორიზონტს და ჰგვრის კაცს ტკბილს ძილსა. თაფლი, რამდენადმე, ისე მოქმედებს ადამიანის აგებულებაზე, როგორც ზომიერად მიღებული ალკოგოლი, მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ალკოგოლს ცუდი გავლენა აქვს სისხლის გორგოლებსა და ნერვებზე, არ ამაგრებს და არ აცხოველებს მათ, მცირე ხნით ასწევს ხოლმე მათს ენერგიას, მაგრამ ისევ მალე უფრო უარესად ასუსტებს ადამიანს ფიზიკურად და სულიერად. თაფლი კი ჩინებულად მოქმედებს ადამიანზე, რადგანაც იგი საფუძვლიანად ამაგრებს მუსკულებს და უცხოველებს ნერვებს. მაშასადამე ყოველს იმ შემთხვევაში, როცა კაცს კუჭი მოშლილი აქვს, რასაც თან სდევს ხოლმე უძლურობა, სისუსტე და ნერვების აპატია, თაფლი ჩინებულ წამლად უნდა მივიჩნიოთ, ამ ნაირადვე მოუხდება თაფლი მოხუცებულობის სისუსტესაც.

ამ თვისებათა გარდა, თაფლი გადამდებ სენთა წამლადაც ვარგა, რაიცა დამოკიდებულია მისს შემადგენელ ნაწილთა თვისებაზეო, ამბობს „მმართებლობის მოამბე“, საიდანაც გადმოვიღეთ ეს წერილი. ამ ჟამად შეტყობილი აქვთ სამეცნიერო გამოკვლევითა და დაკვირვებით, რომ სხვა და სხვა გადამდები სნეულებანი, მაგალითად. სახადი, (ხურვება, ტიფი), ხოლერა, ხუნაგი (დიფტერიტი), ყვავილი, ქუნთრუშა (კისერა, სკარლატინა), მუცელა (დიზენტერია), წითელი ქარი (рожа), ჭლექი და სხვ. ჩნდებიან განსაკუთრებულ ბაქტიერებისაგან. ეს ბაქტერიები შედიან კაცის აგებულებაში, ჰპოვებენ იქ თავის გამრავლებისათვის გამოსადეგ პირობებს, მრავლდებიან კიდეც და აჩენენ იმ სნეულებას, რა სენის ბაქტერიებიც შევიდნენ აგებულებაში. სამეცნიერო გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ სისხლის თეთრი გორგოლები (ბურთები, шарики) ნთქავენ, როგორც თავისთავის, ისე მთელი აგებულების განახლებისთვისაც, არა მარტო სითხეს, არამედ მკვრივ

გნილი აქვს ის მოძღვრება და წავლა, რომელსაც ასე მედგრად დგნენ და ახლაც ადგანან „ძველ თაობის“ მოღვაწენი. იმათ მეოებით აღორძინდა და მაგრად ეები მოიკიდა ჩვენმა ეროვნულმა ვითცნობიერებამ. იმათ გამოაფხილეს ჩვენი საზოგადოება საღათის ილისაგან, მოჰფინეს ევროპიული ლიბერალური და ჰუმანური აზრები და გაუკაფეს ქართველობას გზა კეთესის ადამიანურის ცხოვრებისა. სამოც წლებიდგან დაწყებული ქამომდე ჩვენი ლიტერატურა ეუწყვეტელი ბრძოლაა საუკეესო ურთი-ერთობის დასამყარებლად და ამ ლიტერატურის ამათ-მთავრებზედ ამბობენ—აზრით და იდეით გარკვეულს არას წარმადგენენო! გარკვეულს არას წარმადგენენო... ამას რომ ვადამთილი გვიკიჟინებდეს, კიდევ ჰო. გრამ ამას ბძანებს, „Новое Обозрѣніе“-ს მექრონიკე, რომელიც კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ველა ჩვენი საზოგადო დაწესებულება და თითონ წერა-კითხვის ზოგადოებაც დაარსებული და აღზდილია „ძველ თაობისაგან“. ვისი რა ბრალია, რომ თქვენ გარკვევასა და დაკვირვებაზედ მწყრალად იყვეთ!..

თუ მართლა ჩვენ ძველ მოღვაწეთ გარკვეული მიმართულება არ მოეპოვებათ, მაშ რაღად ამბობს მექრონიკე—ახალი თაობა ძველს ებრძვისო. ასეთი ბრძოლა ხომ ყოველად შეუძლებელი იქმნებოდა, თუ ნამდვილად ძველი თაობა უფერულებას და უხასიათობას წარმოადგენდეს, თუ მართლა ეს თაობა გარკვეულს იდეიას და მთავარ აზრს მოკლებული იყვეს. მაგრამ მექრონიკეს ჩვენ მოღვაწეთა დამცირება სხვაფრივ დასჭირებია. თქვენც მოგეხსენებათ, რომ ზოგნი ამ უკანასკნელთაგანი არ თანაუგრძნობენ თავ-კერძო და გალაღებულ „ასკასერობას“, რომელიც ასე სატრფიალო და სათაყვანო შექმნილა „Новое Обозрѣніе“-ს მოღვაწისთვის. ეს ამბავი ამ ვაჟბატონს არ ასვენებს და ამიტომ ამდგარა და ვითომდა კრიტიკის სახელით ყბად აუღია ჩვენი მოღვაწენი. პროგრესიულ დროშის ქვეშ უნდა თავი მოვიყაროთო... არა ბატონო, ვინც ძველსა და ახალ თაობის შორის შურსა და შუღლს სთესავს და ვინც ახალგაზდობას განგებ გულს უბოროტებს ძველ თაობაზედ, იმას პროგრესიულ დროშასთან სრულიად ხელი არა აქვს. მაგ პროგრესიულ მაჩი-მალაყებით გონებით უსუსურს თუ წაიცდენთ, თორემ სხვას ვერავის!

ძველ თაობის წარმომადგენელნი აზრსა და შეხედულებას იცვლიდნენ ბრძოლის გასამწვავებლად დასთა შორისო... აბა სად და როდის მომხდარა ეს უცნაური ამბავი? ჩვენში ბრძოლა ყოველთვის ყოფილა, მაგრამ ამ ბრძოლას საფუძვლად აზრის სხვა-და-სხვაობა ჰქონია. ახლა-კი სიცრუეს მოგვითხრობენ, ვითომ ძველი თაობა განგებ მტრობას სთესდაო. ეს ძველი თაობა ვერ იშვნევს ახალგაზრდობის დამოუკიდებელ მიმართულებას და წინ ეღობებაო... აი, თუ გნებავთ, სწორედ ეს გახლავთ მტრობის თესვა! არა, ბატონო, ახალ თაობის „დამოუკიდებელი პირიენება“ ჩვენთვის უფრო ძვირფასია, მაგრამ ამ ზნეობრივს ძალას კი არ ებრძვიან, არამედ ზოგიერთს შეცდომას, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში მიუცილებლად თან სდევს გამოუცდელ ახალგაზდობას. თვით ასეთს ბრძოლას იწვევს სიყვარული და იმედი, რომელიც ახალთაობისკენ მიმართულია. „ისა სჯობს მამულისათვის, შვილი რომ სჯობდეს მამასა“, — აი მამაპაპეული ანდერძი, რომელსაც ასე პატივს სცემს თვითეული ძველი მოღვაწე. და პროგრესიულ „საკენკით“, ლიბერალურ ლათაიებით ჩვენს ახალგაზდობას ახლა ვეღარ მოატყუებთ. თითონ ამ ახალგაზდობამ კარგად იცის, რომ იმაზედ არის დამოკიდებული ჩვენი მერმისი და ვინ იქმნება ისეთი უკეთური, რომ იმის ჭაბუკურს სიმხნევეს და ენერგიას ხელი შეუშალოს?! და თუ ასეთს ხელშეშლას ფაქტადაც-კი აღიარებთ,—ესეც ვიცით, რისთვის... „ივერია“ წინ-კი არ ეღობებოდა ახალთაობას, მხოლოდ იმას სცდილობდა, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას ხიფათი არა დამართოდა-რა და მადლობა ღმერთს, რომ არ დაემართა და ხალგაზდობამაც ადგილი დაიჭირა გამგეობაში.

მექრონიკე ბძანებს, ვითომც ძველი თაობა სათაკილო ხერხით განგებ აბრკოლებდა გამგეობის განახლებასაო. ესეც დიდი შეცდომაა. გამგეობის წევრთა სიებიდგან ცხადად სჩანს, რომ, დაარსებიდგან აქამომდე, გამგეობა მუდამ იცვლებოდა, ყოველ არჩევანზედ სხვა წევრებით ახლდებოდა. უცნაურია ასეთი გულ-მავიწყობა მით უფრო, რომ სიახლისა და სიჭაბუკის დროს, 1884 წელს, თვით ჩვენი ვაჟ-ბატონიც გამგეობის წევრად აირჩიეს. მაგრამ რა მახსოვრობა უშველის კაცს, რომელიც რაღაც უცნაურს ჟინს შეუპყრია, უეჭველად სახელი გაუტეხოს ჩვენ ძველ მოღვაწეთ ახალთაობის წინაშე.

Plebs.

ნივთიერებათაც. მკვრივე ნივთიერებას სისხლის გორგოლები იჭერენ იმ ფეხებით (ფსევდოპედებით), რომელნიც თავისთავად უჩნდებათ მათ და რამდენებითაც ისინი სწოვენ და კიდეც საზრდოობენ მითი (მკვრივე ნივთიერებით). ბოლონდელმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ სისხლის თეთრი გორგოლები ნთქავენ აგრეთვე იმ ბაქტერიებსაც, რომელთაც სისხლში იპოვნიან, თუ, რასაკვირველია, ბაქტერიების ენერგია სისხლის გორგოლების ენერგიაზე უფრო სუსტია ხოლო თუ სისხლის გორგოლების ენერგია უფრო სუსტია, ვიდრე ბაქტერიებისა, მაშინ სისხლის გორგოლები ვერ ერევიან ბაქტერიებს, ვერ ნთქავენ მათ და რამდენადმე კიდეც რომ ჩანთქან, ვერ ინელებენ და თვითონვე იხრწნებიან. ამ შემთხვევაში თაფლი წმინდა მისწრებაა. ის, ერთი მხრით, სიცოცხლის ენერგიას ჰმატებს სისხლის თეთრს გორგოლებს და მეორე მხრით— აჩერებს, ზღუდავს ადამიანის სხეულში ბაქტიერიების გავრცელებას ეთერის ზეთისა და ჭიანჭვლის სიმჟავის მეოხებით. თაფლი რომ ასეთს შემთხვევაში შველის სისხლის თეთრს გორგოლებს, ეს დამტკიცებულია. ის სჯაბნის სნეულების ბაქტერიებს, რაც აშკარად სჩანს იქიდან, რომ თაფლში ვერ მოახერხეს ბაქტერიების გამრავლება. ამიტომაც არის, რომ თაფლს ხალხი ხმარობს ხუნაგის, ქუნთრუშის, ჭლექის და თიადორის (золотуха) წამლად და უხდება კიდეც. თაფლის ამავე თვისებით აიხსნება, რომ იგი კარგი წამალია წითელი ქარისა, ძველის იარებისა, ქეცისა და კანის სხვა სნეულებათა.

მ.

(დასასრული იქნება).

უცხოეთი

საფრანგეთი. ჩინეთის სესხის გამო საფრანგეთის მთავრობას დროებით გადაუდგა რადიკალ-სოციალისტების დასი. საფრანგეთის მთავრობამ ისე, როგორც სხვა სახელმწიფოებმა ჩინეთის საქმეების შესახებ მომხდარ შეთანხმების ძალით ჩინეთისაგან საზღაური უნდა მიიღოს იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც მთავრობას და კერძო პირებს მოუვიდათ ჩინეთში. ჩინეთი თუმცა საიმედო მოვალეა, მაგრამ ერთხელად ვალის გადახდას ვერ კისრულობს და 36 წლის გაშავლობაში უნდა გადაიხადოს. საფრანგეთის მთავრობამ ამიტომ აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ სესხი იქმნას აღებული ზარალის ანაზღაურებლად და შემდეგ ჩინეთისაგან შემოსატანი ფულით წვრილ-წვრილად იქმნას გასტუმრებული ეს ვალი. საბიუჯეტო კომისია თანახმაა ამისი, მხოლოდ იმის აზრით სესხი მარტო სახელმწიფოს ზარალის დასაფარავად უნდა იქმნას აღებული, მთავრობა კი იმ აზრისაა, რომ კერძო პირებმაც ერთთავად ეხლავე მიიღონო ზარალის დასაფარავი ფული. აი ამ საგანმა გააცალკევა დროებით მთავრობა მემარცხენეებს.

შეერთებული შტატები. ამ ჟამად ამერიკაში დიდი მოძრაობაა იმ აზრით, რომ როგორმე სამუდამოდ აიცილონ თავიდამ მუშებისა და კაპიტალისტების ერთი მეორესთან ბრძოლა მუშაობის შეჩერების საშუალებით. ინგლისის ეკკლესიის ცნობილმა ეპისკოპოსმა პოტტერმა გამოაცხადა ამას წინად, სასურველია ამ საგნის თაობაზე აზრი წარმოსთქვან ამერიკის საზოგადოების სხვა-და სხვა წრეებმაო. ერთმა ამერიკის გაზეთმა ბოტტერს წინადადება მისცა, თითონვე გაეწია რედაქტორობა გაზეთის იმ ნაწილისა, რომელშიაც ამის შესახებ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი. პოტტერის რედაქტორობით დიდძალი მასალა დაგროვდა. უმრავლესობა შესაძლოდ სცნობს სავალდებულო სამედიატორო სამართლის შემოღებით ბოლო მოუღონ მუშაობის შეჩერებას და ააცილონ განუზომელი ზარალი როგორც მუშებს, ისევე ფაბრიკანტებს. წინააღმდეგია ამ აზრისა, სხვათა შორის, ჩეიზი, რომელიც ამბობს, რომ შრომისა და კაპიტალის შერიგება არავითარის საშუალებით არ შეიძლებაო.

ავსტრო-უნგრეთი. გერმანელ მემარცხენეთა დასის მეთაურების კონფერენციამ, რომელიც კერბერის წინადადებით მოხდა, შემდეგი რეზოლიუცია დაადგინა: „გაჭირებულის მდგომარეობისაგან რეიხსტაგის დასხნა შეუძლიან მხოლოდ პარლამენტის ყველა დასების შეთანხმებს საპარლამენტო შრომის გაგრძელების შესახებ. მთავარი საგანი ბიუჯეტია და კომპრომისსი უნგრეთთან. ბიუჯეტის შესახებ კონფერენცია საჭიროდ სცნობს დაარქაროს საბიუჯეტო კომისსია და შობამდე დაამთავრებინოს იმისი განხილვა; ამ დროსთვის პარლამენტი შეიმუშავებს დროებითს ბიუჯეტს, რომელიც წაუკითხავად წარედგინება პირდაპირ კომისიას. რაც შეეხება უნგრეთთან შეთანხმებას, აქ ისეთი მდგომარეობა უნდა იქმნას შექმნილი, რომ ყველა დასები შეერთდნენ მთავრობასთან ერთად ავსტრიის საერთო ინტერესების ნიადაგზე. გერმანელთა დასებს კონფერენცია წინადადებას აძლევს, ყოველივე ღონე იღონონ ასეთის მდგომარეობის შესაქმნელად“. ეს რეზოლიუცია წარსულს სამშაბათს წარუდგინეს კერბერს, რომელიც დიდად კმაყოფილი დარჩა. კერბერს წარსულს ხუთშაბათს ყველა დასების მეთაურთა კრება უნდა მოეხდინა ამავე საქმის თაობაზე, მაგრამ მოსალოდნელი არ არის, რომ ჩეხებმა თანხმობა გამოაცხადონ ობსტრუქციის შეჩერებაზე. გერმანელების რეზოლიუცია გულ-ცივად მოისმინეს ჩეხთა კლუბში. უკიდურეს მიმართულების წარმომადგენლებმა კონტრეზოლიუცია გამოსცეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ ობსტრუქციას არ მოვსპობთო. პარლამენტში ხმა გავრცელდა, თუ კერბერმა ჩეხები ვერ დაიყოლია, რომ უნივერსიტეტისა და ენის შესახებ მსჯელობას თავი დანებონ, მაშინ პარლამენტის დათხოვნა მოსალოდნელიაო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 ნოემბერი.

პარიზი. პალატამ უარ-ჰყო ლაზის წინადადება, რომ მადლობა გამოცხადებოდა ჩინეთში ნამყოფ ჯარებს, და მიიღო ვალდეკ-რუსსოსაგან მოწონებული ფორმულა მორიგ საქმეების განხილვაზე გადასვლისა, რომლითაც პალატა უერთდება ჯარის მიმართ მართველობისაგან უკვე გამოთქმულს მადლობას. პალატამვე უარ-ჰყო ბერტოს წინადადება, რომ გაეკიცხათ ის ეპისკოპოსნი და მისიონერნი, რომელნიც ჩინელებს ძარცვავდნენ და ჰქურდავდნენ.

პარიზი. ლაზიმ სთხოვა პალატას პატრიოტული მადლობა გამოეცხადოს ჩინეთში ნამყოფ ჯარს. ორატორის აზრით ასეთი გადაწყვეტილება იმ შეურაცყოფისათვის, რაც მიაყენეს მთელს ჯარს და გამოიყვანს ანდრეს იმ უხერხულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება. ვალდეკ-რუსსომ უპასუხა, რომ მართველობამ ერთხელ უკვე გამოუცხადა ჩინეთში ნამყოფს ჯარს მადლობაო, პალატის საქმე არც-კი არის ჯარის შესახებ მსჯელობა იქონიოსო. ბერტო ჰკიცხავს მისსიონერებს და აცხადებს იმედს, რომ პალატა ზიზღით მოიხსენიებს მათ უგვანს საქციელს. ემონს შემოაქვს წინადადება, რომელიც, როგორც წინა დეპეშაშია ნათქვამი, მოიწონა ვალდეკ-რუსსომ და მიიღო პალატამ.

ბუქარესტი. დღეს მეფემ გახსნა პალატა. სეფე-სიტყვაში აღნიშნა, რომ სამეფოს ფინანსიური მდგომარეობა რიგიანად არის მოწყობილი და რუმინია ყველა სახელმწიფოებთან მეგობრულ განწყობილებაშია, სავაჭრო ხელშეკრულება ოსმალეთთან მალე წარმოედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და კოსტანცში ნავთსადგურის კეთება დასრულებულ იქნებაო.

ლონდონი. კაპშტატში ჯარის მთავარ სარდალი იუწყება: ფუშესაგან წერილი მივიღე. იუწყება, 3 ნოემბერს ბრძანება გავეცი დოპტრეხტში ინგლისის ჯარის ორის კაცის დახვრეტისა.

კონსტანტინეპოლი. გუშინ შავის ჭირით ერთი ავადმყოფი აღმოჩნდა.

ათინიდგან მოსულ ამბიდგანა სჩანს, საბერძნეთის მთავრობა ისე ჰმოქმედობს, რომ კრიტზე მშვიდობიანობა იქმნეს დაცული. ამ მშვიდობიანობის დარღვევა დიდად სამწუხარო იქნება საბერძნეთისათვის, რომელიც უწინდულებრ დიდს მნიშვნელობას აძლევს ოსმალეთთან სიამტკბილობით ყოფნას.

მოსკოვი. ნოემბრის 15-ს ოლქის სასამართლომ განიხილა ხირურგის მოდლინსკის საქმე. მოდლინსკიმ ოპერაცია გაუკეთა ერთს ქალს, რომელიც არ იყო თანახმა. ავადმყოფი გარდაიცვალა. ექსპერტებმა სთქვეს, რომ ოპერაცია აუცილებლად საჭირო იყოვო. სასამართლომ ავადმყოფის თანხმობა საჭიროდ იცნო და ხირურგს შვიდ დღით საპყრობილეში ჩასმა გადაუწყვიტა.

ხარკოვი. მადნის მრეწველთა კრებამ მაისმინა პასუხის პროექტი მინისტრის დეპეშაზე. მინისტრი ეკითხებოდა კრებას, რა მიზეზია, რომ საზღვარ გარეთიდგან აუარებელი ქვა-ნახშირი, ლითონი და მაშინები შემოაქვთ, თუმცა ზედ დიდი ბაჟი გვაქვს დადებულიო. პასუხის მისაცემად ამორჩეულია დეპუტაცია, რომელიც სიტყვიერად განუმარტებს მინისტრს თავის საქმელს.

კონსტანტინეპოლი. სალონიკიდგან მოვიდა ოფიციალური ცნობები, რომ ავაზაკებისაგან ტყვედ წაყვანილი ქალბატონი სტონი და მისი თანამგზავრი ზიდიკა გადაიცვალნენ და უკვე დამარხულ იქმნენო. ადგილობრივმა მთავრობამ ურჩია ამერიკის დესპანს ადგილობრივ გამოიკვლიოს საქმე და შეიტყოს სიმართლე.

დეტრუდა (შეერთებული შტატები). ვაბამის რკინის გზაზე, ღამე, სენაკ სადგურთან მატარებელი, რომელსაც ორი ვაგონი ება გადასახლებულებით სავსე, დაეჯახა მეორე მატარებელს. პირველი მატარებელი სრულიად დაიმსხვრა და დაიწვა. მოკლულ იქმნა 80, დაშავებულია 15, ამათში 25 კაცი მძიმედ.

პარიზი. პალატა. ბერრიმ განაცხადა სურვილი აღძრას საკითხი გააგის კომფერენციის კომისიის საქციელის გამო, რომელმაც უარი განაცხადა შუამავლობაზე ბურების თხოვნის განხილვისა. ამ საქმის გარჩევა გადიდვა. საბიუჯეტო კომისია კვლავ იწყებს სესხის განხილვას მესამე მუხლით. საქმის მომხსენებელი შუბარი იცავს მოხსენებას კომისიისას, რომელიც უარს ამბობს იმ კონგრეგაციების დაჯილდოვებაზე, რომლებიც არ არიან შეწყნარებულნა საფრანგეთის კანონით. გუბბარი ამბობს, რომ ამ კონგრეგაციებმა უკვე დააჯილდოვეს თავიანთი თავიო (ხმაურობაა). ბერტელო ამბობს, კომისიის მოხსენება ისე უნდა შესწორდეს, რომ კონგრეგაციებმაც მიიღონ ის ჯილდო, რომელიც ეკუთვნითო. კალლო მხარს უჭერს ამ შესწორებას, რომელიც შეწყნარებულ იქმნა 461 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 84 ხმისა. (ტაშის ცემა).

პარიზი. პალატა. მესამე მუხლის სხვა-და-სხვა პარაგრაფები, მათ შორის, ისიც, რომლითაც არსდება კომისია ჯილდოს გასანაწილებლად, შეწყნარებულ იქმნა; მხოლოდ ის პარაგრაფი, რომლის ძალითაც ჯილდო გაინაწილება ჩინეთის მიერ გადახდის შემდეგ, არ იქმნა შეწყნარებული 342 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 188 ხმისა. მთელი მესამე მუხლი შეწყნარებულია. მთელი კანონ-პროექტი მიღებულია 235 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 213 ხმისა.

16 ნოემბერი.

ქრისტიანია. ნობელის კომიტეტმა გუშინ სხდომები დაიწყო. თავჯდომარედ არჩეულ. იქმნა სტატს სეკრეტარი ლეველანდი. უმაღლეს ჯილდოს 27 ნოემბერს მიუსაჯენ.

ვენა. პანგერმანისტთა მეთაურმა ავსტრიის რეიხსტაგში ვოლფმა დეპუტატობას თავი დაანება.

ბუქარესტი. „რუმ. სააგენტო“ იუწყება ოფიციალურ წყაროდგან, რომ ზოგიერთ გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, ვითომ განზრახული იყოს რუმინიის კონსტიტუციის მე-88 მუხლის შეცვლა, რომელიც რეგენტობის საქმეს შეეხება, აგრეთვე ხმები მემკვიდრე პრინცის ფერდინანდის ავადმყოფობის შესახებ, ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია.

ხარკოვი. 16 ნოემბერს მთამადნის მწარმოებელთა კრება ეუწყა იმ დეპეშის პასუხი, რომლითაც ფინანსთა მინისტრი შეეკითხა კრებას—რა მიზეზია უცხო-ქვეყნის ქვანახშირისა და ლითონეულის შემოტანისაო. კრებამ საჭიროდ სცნო საკუთარის გაზეთის გამოცემა საზოგადო პროგრამით [illegible] სიმართლეს მ[illegible] გასაფანტავად, რომელსაც გაზეთ[illegible] ბი ავრცელებენ. ეს საქმე კრებ[illegible] საბჭოს გარდაეცა.

17 ნოემბერი

პეტერბურგი. გამოცხადდა, რო[illegible] ინგლისის ახალშენს მინსლენდ[illegible] (ავსტრიაშია) და ქალაქ გლოსგო[illegible] ში შავი ჭირი აღარ არის.

საქართველოს ექსარხოსი ფლ[illegible] ბიანე, უმაღლესის ბრძანებით და[illegible] ნიშნულ იქმნა ხარკოვის და ასტ[illegible] რის მთავარ-ეპისკოპოსად, ხოლ[illegible] ეპისკოპოზი ვიატკისა და სლობოდ[illegible] სკისა ალექსეი—ქართთის და კახ[illegible] თის მთავარ-ეპისკოპოსად, უწმინ[illegible] დესის სინოდის წევრობისა და [illegible] ქართველოს ეგზარხოსის წოდებით[illegible]

ასხაბადი. 15 ნოემბერს, ღამ[illegible] შუა აზიის რკინის გზაზე საქონლ[illegible] მატარებლები № 21 და 56 ერთ[illegible] მანეთს დაეჯახნენ სადგურ გეო[illegible] სიურის ახლო. მოკლულები არიან[illegible] მატარებელ №56-ის ერთი კო[illegible] დუქტორი და მატარებლის მოსა[illegible] სახურე; 18 ვაგონი დაიმსხვრა. უბ[illegible] დურებს მიჩეზი ყოფილა ის, რო[illegible] მატარებელი № 21-ს მემანქან[illegible] დასძინებია.

მოსკოვი. საიდუმლო პალიც[illegible] ამ შეიპყრო ორი ქურდი, რომელ[illegible] თაც ხელი მიუყვიათ სახელმწიფ[illegible] ბანკიდამ ფულების ჰარისათვის. ე[illegible] თი დრთი დაუჭერიათ სამი ათა[illegible] მანეთისა და მეორე ათას მანეთ[illegible] მოპარვისათვის. ორივე ურიაა. მ[illegible] კარგად იცნობენ რუსეთის დიდ [illegible] ლაქებში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ოლქ[illegible] სასამართლოში გაირჩა პეტერბუ[illegible] გის კერძო კომერციულ ბანკის [illegible] ჩივარი დობროვო-ნაბგოლცის [illegible] მინისტრაციზედ, რომელსაც ბან[illegible] ედავება 160,000 მ. ადმინისტ[illegible] ამ სასამართლოში საბუთები წ[illegible] მოადგინა, რომელითაც მტკიცდ[illegible] რომ სესხი ფაქტური უნდა იყ[illegible] განაჩენის გამოცხადება გადაი[illegible] 30 ნოემბრისათვის.

ბერლინი. ვენიდგან იუწყებ[illegible] რომ პანგერმანისტთა მეთაურ[illegible] ვოლფის დეპუტატობისაგან წ[illegible] ლას კავშირი აქვს ვოლფის დუ[illegible] მეორე პანგერმანისტის შვილ[illegible] ნაო. როგორც ისმის, დუელის [illegible] ზეზი დედაკაცია.

კონსტანტინეპოლი. ამერ[illegible] საელჩოში არა სჯერათ ქ-ნ ს[illegible] ნისა და იმის თანამგზავრ ქალ[illegible] სიკვდილის ამბავი. ჰფიქრობ[illegible] რომ ამ ხმას ავაზაკები ავრცელ[illegible] ბენ, რათა ძალა დაატანონ, გა[illegible] ასყიდინონ ტყვენი და ფული [illegible] ღონ.

ლონდონი. შინაგან საქმ[illegible] მინისტრმა წარმოსთქვა კრაიდონ[illegible] სიტყვა, რომელშიაც სთქვა, [illegible] სალიბიურის განცხადება გილდ[illegible] ლის სიტყვაში, ვითომ ბურებს [illegible] შეიძლება რამე დამოუკიდებლ[illegible] მიეცეთ, დამახინჯებული იყო. [illegible] ლისბიურის უნდოდა ეთქვა, [illegible] ეს სახელმწიფონი, როგორც [illegible] ნად, ვეღარ ისარგებლებენ დამ[illegible] კიდებელ არსებობითაო. მთავ[illegible] ბას არ შეუძლიან ხელ-ახლა [illegible] ცეს ბურებს წინადადება მიე[illegible] მათ მიერ ერთხელვე უარ-ყოფ[illegible] პირობანი, მაგრამ რომელიმე [illegible] რალმა, ვითარცა მეომარ ბ[illegible] წარმომადგენელმა, რომ ისეთი [illegible] ნადადებანი შემოიტანოს, რ[illegible] ლიც რამდენადმე შეეფერებ[illegible] წინად უარ-ყოფილ პირობებს [illegible] აგრეთვე ბურების სურვილი [illegible] გამოთქმული წარმომადგენელ[illegible] მართვა-გამგეობის მიღების შესა[illegible] ვფიქრობ, რომ ასეთი წინადად[illegible] ნი შეიძლება საფუძვლად დ[illegible] ბოდა ზავის ჩამოგდების საქმეს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.